

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თელავი

2021 წლის 17 თებერვალი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ  
ქოჩიშვილი, უზა ჭოტიაშვილი, ლევანი  
ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური  
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის  
უფროსი გიორგი თავბერიძე, თელავის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და  
ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული  
სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე.

დღის წერიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით,  
დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ  
თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის  
განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის  
საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავშერიძემ აღნიშნა, რომ განმცხადებლებთან 2 წლით დადებულ ხელშეკრულებას გაუვიდა ვადა, ისინი კეთილსინდისიერად ასრულებდნენ პირობებს, ითხოვენ კიდევ ორი წლით ხელშეკრულების გაფორმებას.

ლევან ლილუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება თანხმობის მიცემისა და საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ლევან ლილუაშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ „ქალთა საკონსულტაციო ცენტრი სახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა განმარტა, რომ სოფელ ნაფარეულში არსებულ 400 კვ.მ.-ზე განთავსებულია 112-ს ცენტრი, რომელიც დაფინანსდა რეგიონალური განვითარების ფონდიდან და რომელსაც სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ითხოვს რომ გადაცეს

სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ და დააყენა წინადადება უძრავი ქონების გადაცემის საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ალექსანდრე შათირიშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 3. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავშერიძემ აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტი წარმოდგენილია გასული წლის უცვლელ ფორმატში.

გიორგი ჩაბრაშვილმა დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გიორგი ჩაბრაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე:

ალექსანდრე შათირიშვილი